ხელშეკრულება N1212/01-23

ქ. თბილისი 12 დეკემბერი, 2023 წელი

შპს „ქლაუდ ცხრა“(შემდგომში “მიმწოდებელი“ ან ,,რეგისტრატორი”)
საიდენტიფიკაციო კოდი: 405063755
იურიდ. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. IV მ/რ ფერდობის გაგრძელებაზე (ნაკვეთი #7)
ფაქტ.მის:თბილისი, წერეთლის გამზ.#2,ოფისი 11
ტელეფონის ნომერი: 242 40 02
ელ-ფოსტა: contact@cloud9.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE59TB 7050436080100004
წარმოდგენილი მისი დირექტორის, თეონა მარტაშვილის მიერ;

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ (შემდგომში „ რეგისტრანტი, ან შემსყიდველი”)
საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ფაქტ.მის:მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
ტელეფონის ნომერი: 2921667
ელ-ფოსტა: post@comcom.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE11TB0600000000609326
წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის,კახი ბექაურის მიერ;

წინამდებარე ხელშეკრულება იდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის ა)ქვეპუნქტის შესაბამისად, შესყიდვა რაციონალური ხარჯვის გათვალისწინებით (CPV72417000) - იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე შესყიდვის ობიექტის მიწოდება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტირებულ რეგისტრატორებს, რის გამოც არ არის მიზანშეწონილი ამ შესყიდვის სხვა ობიექტებთან გაერთიანება, ასევე, შესყიდვის ჯამური ღირებულების გათვალისწინებით.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
   1.1. „ხელშეკრულება" ნიშნავს წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებას მისი ყველა დანართით;
   1.2. „რეგისტრაციის საფასური” აქვს ხელშეკრულების 4.1 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა;
   1.3. „დომენური სახელი"ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ნიშნავს რეგისტრანტის მიერ ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელს.

2. **ხელშეკრულების საგანი**
   2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს 12 დომენური სახელის სარეგისტრაციო მომსახურება . დომენური სახელების ჩამონათვალი, შესაბამისი ღირებულება და გააქტიურების ვადები მოცემულია დანართ N1-ში;
   2.2. დომენური სახელის რეგისტრაციით რეგისტრანტი იღებს დომენური სახელით სარგებლობის შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლებას იმ ვადითა და პირობებით როგორც ეს მოცემულია ამ ხელშეკრულებაში.
   2.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრატორი უზრუნველყოფს რეგისტრანტისთვის დომენური სახელების რეგისტრაციას არაუგვიანეს დანართში N1 მითითებულ დღეს;

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

4. რეგისტრაციის საფასური და გადახდის პირობები

4.1. ერთი დომენური სახელის რეგისტრაციის ღირებულება შეადგენს **30** ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **360** ლარს. ამ ხელშეკრულებაში მითითებული თანხები მოცემულია საქართველოს კანონმდებლბით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით.

4.3. რეგისტრატორთან ანგარიშსწორება იწარმოებს თითოეულ ეტაპზე. მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება იწარმოებს ეტაპობრივად დომენური სახელის რეგისტრაციის ვადების შესაბამისად;

4.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება კომისიის მხრიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს დავით ოდიშარიას, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ამავე სამსახურის სისტემურ ადმინისტრატორს - ჯაბა გაზდელიანს, რომლებიც არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესტიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

5. მხარეთაუფლება-მოვალეობები

5.1. რეგისტრანტს უფლება აქვს:

5.1.1. მოსთხოვოს რეგისტრატორს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.1.2. განახორციელოს რეგისტრატორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი. ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კომისიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი დავით ოდიშარია, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ამავე სამსახურის სისტემური ადმინისტრატორი - ჯაბა გაზდელიანი, რომლებიც არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

5.2. რეგისტრანტი ვალდებულია:

5.2.1. დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური;

5.2.2. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას დამატებითი ინფორმაცია.

5.2.3. კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.2.4. გამოიყენოს დომენური სახელი იმგვარად, რომ ასეთმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების, მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი აქტის დარღვევა.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. გაუწიოს შემსყიდველს სარეგისტრაციო მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით;

5.4.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1. რეგისტრანტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1.1. მის მიერ მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;

6.1.2. საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი არის მოქმედი;

6.1.3. რეგისტრანტს აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს დომენური სახელი;

6.1.4. რეგისტრანტი აკმაყოფილებს დომენური სახელის დასარეგისტრირებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

6.1.5. დომენური სახელის რეგისტრაცია და გამოყენება, რამდენადაც ეს რეგისტრანტისთვის ცნობილია, არ არღვევს და არ დაარღვევს რაიმე სამართლებრივი ძალის მქონე აქტს, მარეგულირებელ კანონმდებლობას ან მესამე პირთა უფლებებს;

6.2. რეგისტრატორის განცხადებები და გარანტიები:

6.2.1. რეგისტრატორს აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.2.2. რეგისტრატორის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და შესრულება

6.2.2.1. არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს რეგისტრატორის მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის რეგისტრატორი;

6.2.2.2. არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

7. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. მხარეთა შეთანხმება;

7.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლა.

7.1.3. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

7.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა

8.1. რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორის ურთიერთობებზე და ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

8.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებულიდავა მხარეებს შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

10. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

შპს „ქლაუდ ცხრა“

დირექტორი
თეონა მარტაშვილი

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“
თავმჯდომარე
კახი ბექაური

Cloud Nine LLC

Digitally signed by Cloud Nine LLC
Date: 2023.12.12 13:35:38 +04'00'

დანართი N1

(ხელშეკრულება N1212/01-23)

ქ. თბილისი 12 დეკემბერი, 2023 წელი

1. მომსახურების ჩამონათვალი, ღირებულება და ვადები

მომსახურების აღწერა	დომენური სახელის ხანგრძლივობა	დომენური სახელი	გაატიურების ვადები	ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	com-com.ge	20.08.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	kom-kom.ge	21.05.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	komkom.ge	21.05.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	mediatsigniereba.ge	21.03.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	mediawigniereba.ge	21.03.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	mediacigniereba.ge	21.03.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	sheamocme.ge	19.08.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	sheamowme.ge	19.10.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	sheamotsme.ge	19.10.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	gncc.ge	09.01.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	comcom.ge	17.08.24-დან	30.00
დომენური სახელი	1 (ერთი) კალენდარული წელი	MediaKey.ge	10.03.24-დან	30.00
				360.00

შპს „ქლაუდ ცხრა“

დირექტორი
თეონა მარტაშვილი

Cloud Nine LLC
Digitally signed by Cloud Nine LLC
Date: 2023.12.12 13:35:53 +04'00'

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
თავმჯდომარე
კახი ბექაური

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2023.12.12 12:35:01 +04'00'